გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 108

2025 წლის 8 აგვისტო
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ

2025 წლის 28 ივლისს საკრებულოში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მურალოვას №21-21252092 ინიციატივა, რომლითაც ითხოვს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში არსებული #2 ქუჩას, #2 ქუჩის I-II - III შესახვევს და I-II – III ჩიხს ეწოდოს ივანე ელიკაშვილის სახელი, ასევე #8 ქუჩას მიენიჭოს ივანე ელიკაშვილის მე-4 შესახვევი და მე-8 ქუჩის I-II ჩიხს ივანე ელიკაშვილის მე-4 შესახვევის I-II ჩიხი 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული საზოგადო მღვაწის - ივანე ელიკაშვილის სახელის მინიჭებას. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ივანე ელიკაშვილის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ივანე ელიკაშვილის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით და გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეში მდებარე #2 ქუჩას ასევე მასთან არსებულ შესახვევებსა და ჩიხებს მიენიჭოს 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული საზოგადო მოღვაწის -ივანე ელიკაშვილის სახელი, ხოლო #8 ქუჩას გადაერქვას და მიენიჭოს ივანე ელიკაშვილის მე-4 შესახვევის სახელი.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30)

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**